თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3692395

ნომერი: AR1557689

თარიღი : 13.11.2017

გაცემის თარიღი : 27.11.2017

გაცნობის თარიღი : 15.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლანა ქაჯაია პ/ნ 58001013011
- თბილისი საბურთალოს ქ. N 26 ბ. 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1557689 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, #01.72.14.040.474 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 30 ოქტომბერს #AR1553361 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, #01.72.14.040.474 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის #3681070 გადაწყვეტილებით მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge